სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2011 წლის „09“ დეკემბრის № 125/01-01 ბრძანების

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებით ნიჭიერ სტუდენტებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიების მინიჭების წესი.

1. განსაკუთრებით ნიჭიერ სტუდენტებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე.

2. პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს 100 ქულიანი სისტემით:

ა) აკადემიური მოსწრება – შეფასდეს 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

ბ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება – შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით (მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები).

გ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა – შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

3. პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი.

4. პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსება არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.

5. პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსებაზე მყოფ სტუდენტთა ერთიანი სია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.